



ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის გზამკვლევი პროგრამა



Microsoft Teams- ი ავტორიზაცი სთვის

წინამდებარე გზამკვლევი განკუთვნილია ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ლექტორებისა და სტუდენტებისათვის, Microsoft Teams-ში ავტორიზაციის ხელშესაწყობად.

Microsoft Teams-ში ავტორიზაციამდე უნდა ვიცოდეთ ჩვენი ელ. ფოსტის მისამართი და მისი პაროლი, რომლებიც მოწოდებულია ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ. როგორც წესი, ელ. ფოსტა შეიცავს თქვენს სახელსა და გვარს გამოყოფილს წერტილით და მთავრდება “@eeu.edu.ge”-თი (მაგ.: Name.Surname@eeu.edu.ge). ელ. ფოსტის რეგისტრს მნიშვნელობა არ აქვს, განსხვავებით პაროლისაგან (მაგ.: Abc12345). Microsoft Teams-ის გარდა იგივე ელ. ფოსტის მისამართით და პაროლით შეგიძლიათ შეხვიდეთ თქვენს პერსონალურ ელ. ფოსტაზე საიტიდან outlook.live.com (live.com).

Microsoft Teams-ში ავტორიზაცია და მისი გამოყენება შესაძლებელია ორი გზით:


1. კომპიუტერში აპლიკაციის ჩამოტვირთვით და მისი ინსტალაციით ან
2. ვებ ბრაუზერის (მაგ. Google Chrome-ს) გამოყენებით.

ხანდახან, Microsoft Teams-ის ავტორიზაციისას წარმოიშვება პრობლემა. ჩვენი რჩევაა ასეთ მომენტში შეამოწმოთ შეყვანილი ელ. ფოსტისა და პაროლის სისწორე, ასევე თუ სად შეგყავთ ორივე მათგანი. ჩამოთვლილი ქმედებების სისწორეში დარწმუნების შემთხვევაში გთხოვთ ავტორიზაციის მეორე მეთოდი სცადოთ. ქვემოთ განვიხილავთ ავტორიზაციის ორივე გზას:


1. აპლიკაციის ჩამოტვირთვა და ინსტალაცია:

თუ აპლიკაცია უკვე დაინსტალირებულია საჭიროა მხოლოდ ავტორიზაცია (1.7 პუნქტი)

1.1 გახსენით ინტერნეტ ბრაუზერი (მაგ. Google Chrome), ჩაწერეთ საძიებო ველში “microsoft teams download” და გადადით პირველივე მოძებნილ ჩანაწერზე: “microsoft.com: Download Desktop and Mobile Apps | Microsoft Teams”.



1.2 დახურეთ შემოთავაზებული ენის ცვლილების ფანჯარა:



1.3 აირჩიეთ "Download for Desktop"




1.4 და შემდეგ „Download Teams“.

Download Teams for work on your desktop




1.5 ამის შემდეგ ბრაუზერი დაიწყებს აპლიკაციის ჩამოწერას. Google Chrome-ს შემთხვევაში ეს აისახება ბრაუზერის დაბალ მარჯვენა კუთხეში. ჩამოწერის დასრულებისას დააჭირეთ ჩამოწერილი აპლიკაციის პიქტოგრამას:



1.6 პროგრამა ავტომატურად დაინსტალირდება და გამოვა ავტორიზაციის ფანჯარა. ასევე, ოპერაციული სისტემის დესკტოპზე გაჩნდება Microsoft Teams-ის პიქტოგრამა და შესაძლებელი გახდება მომავალში მისი საშუალებით Teams-ის გაშვება.




1.7 აპლიკაციის ფანჯრის გამოსვლისას ჩაწერეთ შესაბამის ველში უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ელ. ფოსტა და შემდეგ პაროლი.




2. Microsoft Teams-ში ვებ ბრაუზერის გამოყენებით ავტორიზაციის ეტაპამდე მისვლა:


2.1 გახსენით ინტერნეტ ბრაუზერი (მაგ. Google Chrome), ჩაწერეთ სამისამართე ველში “teams.microsoft.com”.




2.2 შეიყვანეთ უნივერსიტეტის ელ. ფოსტა



2.3 შეიყვანეთ პაროლი




2.4 შემდეგ გამოსულ ფანჯარაში დაჭირეთ Next-ს




2.5 (2.4) პუნქტის დაყოვნების შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს შემდეგი ფანჯარა. დააჭირეთ ღილაკს Next და შემდეგ ფანჯარაში შეიყვანეთ პაროლი ხელახლა (2.3). ეს და სხვა პუნქტები შემდეგაც შეიძლება განმეორდეს.

confirm your current password

In order to keep your security information private, we need you to re-enter your current password on the next page.



2.6 შემდეგი ფანჯარა გვეკითხება, გვსურს თუ არა Teams-ში დავრჩეთ შესული. თუ ავირჩევთ პასუხს Yes, ბრაუზერის ფანჯრის (Tab) დახურვის შემდეგ მისი ხელახალი ჩართვისას ავტორიზაცია საჭირო აღარ იქნება. თუ არ გსურთ Teams-ში დარჩეთ ავტორიზებული აირჩიეთ პასუხი No.



2.7 შემდეგ ფანჯარაში შეგვიძლია შევიყვანოთ დამატებითი ინფორმაცია ტელეფონის ან/და პირადი ელ. ფოსტის სახით. ამისათვის მოცემული არის ორი ბმული set it up now. შესაბამისი ბმულის არჩევის შემდეგ შეგვიძლიათ მივყვეთ ინსტრუქციას. ასევე შესაძლებელია ამ ეტაპის ყოველ ჯერზე გამოტოვება cancel ღილაკზე დაჭერით.


don't lose access to your account!

To make sure you can reset your password, we need to collect some info so we can verify who you are. We won't use this to spam you - just to keep your account more secure. You'll need to set up at least 2 of the options below.

- ! Authentication Phone is not configured. [Set it up now](#)
- ! Authentication Email is not configured. [Set it up now](#)




2.8 შემდეგი ფანჯარა გვეკითხება Teams-ის აპლიკაციის ჩამოწერა გვსურს თუ ვებ აპლიკაციით შესვლა. აირჩიეთ Use the web app instead. ამით ავტორიზაცია დასრულებულია.




სურვილისამებრ შეგიძლიათ უკვე შეყვანილი დამატებითი ინფორმაციის წაშლა თქვენი ანგარიშიდან (ელ. ფოსტა ან/და ტელეფონის ნომერი). ასეთ შემთხვევაში Teams-ი ყოველი ავტორიზაციისას შემოგთავაზებთ მათ შეყვანას (2.7).

ამისათვის საჭიროა გავიაროთ ჩვენი ელ. ფოსტის ავტორიზაცია:


3.1 აკრიფეთ ბრაუზერში outlook.live.com (ან live.com)




3.2 დააჭირეთ Sign in ღილაკს




3.3 შეიყვანეთ უნივერსიტეტის ელ. ფოსტა




3.4 შეიყვანეთ პაროლი




3.5 ფანჯრის მაღალ მარჯვენა კუთხეში დააჭირეთ თქვენს ინიციალებს, მოქცეულს წრეში და შემდეგ, ჩამომლილ ფანჯარაში view account-ს



3.6 მარცხენა ვერტიკალურ მენიუში დააჭირეთ Security info-ს




3.7 Phone ან/და Email ველების გასწვრივ დააჭირეთ Delete-ს და გამოსულ ფანჯარაში დააჭირეთ Ok-ს.



პაროლის შეცვლის სურვილი თუ გაგვიჩნდა საჭიროა გავიაროთ ფოსტაში შესვლის ეტაპები (3.1-5). შემდეგ:

4.1 მარცხენა ვერტიკალურ მენიუში დააჭირეთ Password-ს



4.2 Old Password გრაფაში ჩაწერეთ ძველი (მიმდინარე) პაროლი.

Create new password გრაფაში შეიყვანეთ ახალი პაროლი. გაითვალისწინეთ პაროლის შეზღუდვები: პაროლი უნდა შედგებოდეს 8-256 სიმბოლოსგან. არ უნდა იყოს გამოყენებული ჩვეული სიტყვები და სახელები. უნდა იქნას გამოყენებული როგორც მათალი, ასევე დაბალი რეგისტრის ასოები, ციფრები და სიმბოლოები.

Confirm new password ველში გაიმეორეთ ახალი პაროლი და დააჭირეთ ღილაკს Submit.

